პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

კვირა, 28 ოქტომბერი, 1956 წელი. № 88 (998) ფასი 30 კაპ.

გამოცემის 30-13 წელი

# კომუნიზმის გამარჯვებისათვის

გაივლის რამდენიმე დღე და მთელი ჩვენი ქვეყანა, საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანები იდღესასწაულებენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავს. ამიტომაა, რომ სსრ კავშირის მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მოღვაწეები, რომლებიც მშვიდობიან შემოქმედებით შრომას ეწევიან, წინასადღესასწაულო დღეებში აძლიერებენ მუშაობის ტემპს, ენერგიულად იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის...

საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ სწამთ, რომ კომუნიზმის გამარჯვების აუცილებელი პირობაა შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა, მოწინავე ტექნიკისა და რეზერვების სრული გამოყენება, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარება, მატერიალური დოვლათის სიუხვის შექმნა. ამიტომ კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე იგრძნობა საბჭოთა პატრიოტების, მშრომელი მასების შემოქმედებითი აქტივობის მზარდი აღმავლობა. გაზეთებში სისტემატურად ქვეყნდება ცნობები ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა ახალ-ახალი წარმატებების შესახებ, რომლებიც პატრიოტული სიამაყის გრძნობას აღუძრავს და აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს. ამის დასტურებლად ისიც კმარა, თუ რა უმაგალითო გმირობა ჩაიდინეს ჩვენი ქვეყნის ჭაბუკებმა და გოგონებმა, რომლებიც კომუნისტური პარტიის მოწოდებისთანავე გაემგზავრნენ უამიონ და ნასვენი მიწების ასათვისებლად, დაამუშავეს მილიონობით ჰექტარი უკაცრიელი მიწა და მოიყვანეს ჯერ არნახული მოსავალი.

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის მშენებლობაში მოპოვებულ წარმატებებთან ერთად, ჩვენი ქვეყანა მტკიცედ მიდის წინ მთელს მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის. თანმიმდევრულად ახორციელებს რა სხვადასხვა სოციალური სისტემების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას, სსრ კავშირმა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით უკანასკნელ დროს წამოაყენა უმნიშვნელოვანესი საგარეოპოლიტიკური წინადადებანი, რომელთა მიზანია მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცება. ამის შედეგად მნიშვნელოვნად შენელდა საერთაშორისო დაძაბულობა.

ამ დღეებში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებები, რომლებიც ადასტურებენ მშობლიური კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკის სიბრძნეს, რომლის მიზანია მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება, კომუნისტური მშენებლობის ახალი, მძლავრი აღმავლობა, ხალხის მასების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

„... ჭაბუკებო და ქალიშვილებო, ჩვენო სახელოვანო ახალგაზრდობავ! უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღეთ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში! შეისწავლეთ მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, დაეუფლეთ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცოდნას!“—ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებში.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები მხურვალე ძმურ სალამს უძღვნიან დიდ ჩინელ ხალხს, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ალბანეთის, მონღოლეთის, იუგოსლავიის, კორეის, ვიეტნამის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის. ჩვენ გამარჯვებას ვუსურვებთ დიდ ინდოელ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი სამშობლოს პროგრესისათვის, აზიასა და მთელს მსოფლიოში მშვიდობის დამყარებისათვის, ინდონეზიისა და ბირმის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისა და თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ეგვიპტელ ხალხს, რომელიც მამაცურად იცავს თავის სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას. ჩვენ გამარჯვებას ვუსურვებთ ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და საბჭოთა ქვეყნების მეგობრობას და თანამშრომლობას მათს ბრძოლაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, მთელს მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებები მკაფიოდ ასახავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას მეცნიერების განვითარებისა და ტექნიკური პროგრესისათვის, ხელოვნებისა და ლიტერატურის აყვავებისათვის, სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყოფისა და გაიაფებისათვის, ვაჭრობის განვითარებისა და მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი აღმავლობისათვის.

კაცობრიობის ისტორიამ არ იცის მშრომელთა მასების ისეთი ბრძენი და შეუდრეკელი ხელმძღვანელი, როგორიც დიდი ლენინის მიერ შექმნილი მშობლიური კომუნისტური პარტიაა, რომელმაც დასაბამი მისცა კომუნიზმის ერას მსოფლიო ისტორიის განვითარებაში. დიადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში აშენდა სოციალისტური საზოგადოება, ამჟამად საბჭოთა ხალხი მიდის წინ კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიად შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

## საიმედო რეზერვი

საქართველოს ჭაბუკთა პირად-გუნდური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში ჩვენი რესპუბლიკის მოზარდ სპორტსმენთა სერიოზული დათვალიერება იყო. 13 ქალაქისა და რაიონის 120 ახალგაზრდა მოჭიდავე თავგამოდებით იბრძოდა საპატიო პირველი ადგილისა და საქართველოში უძლიერესი მოჭიდავის სახელისათვის.

ჩემპიონატის პირველსავე დღეებმა ცხადყო, რომ ჭაბუკ მოჭიდავეთა შესანიშნავი პლეადა ჰყავს ლაგოდეხს, კასპს, თბილისს, საგარეჯოს, მცხეთას, წითელწყაროს. შეჯიბრებაზე ყოველი სპორტსმენი ცდილობდა აქტიური ბრძოლით, მოხდენილი ფანდით და, რაც მთავარია, სუფთა მოგებით ესახელა თავი. მრავალფეროვანი და ლამაზი ჭიდაობით გამოირჩეოდნენ: ი. ხორგუაშვილი, შ. გელიაშვილი, დ. მიხანაშვილი და გ. ბალხამიშვილი — კასპიდან; ა. ქუცნიაშვილი, ო. ქაცანაშვილი და ვ. მუჩიაშვილი—თბილისიდან; დ. დორეული — მცხეთიდან; ვ. გოგოლაძე და შ. კაპანაძე—ლაგოდეხიდან; ლუდუშაური — წითელწყაროდან; მ. ელერდაშვილი და რ. ნინოშვილი — საგარეჯოდან და ბევრი კიდევ სხვა.

სამდღიანი საინტერესო ბრძოლების შედეგად გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს კასპელმა მოჭიდავეებმა. მეორე ადგილი დაისაკუთრეს წითელწყაროს, ხოლო მესამე—საგარეჯოს რაიონის გუნდებმა. თბილისის მოჭიდავეთა კოლექტივი, რომლის სამმა წარმომადგენელმა პირად ჩათვლაში პირველი ადგილები დაისაკუთრა, მეოთხე ადგილზე გამოვიდა, რადგან მისი ერთი წევრი ფ. თსიაშვილი უდისციპლინობის გამო ბოლო ადგილზე აღმოჩნდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: ა. ხორგუაშვილმა (კასპი), ა. ქუცნიაშვილმა (თბილისი), დ. დორეულმა (მცხეთა), ო. ქაცანაშვილმა, ვ. მუჩიაშვილმა (ორივე თბილისი), უ. ჩოხელმა (წითელწყარო), შ. გულიაშვილმა (კასპი), შ. კაპანაძემ (ლაგოდეხი).

**მ. ხერხეულიძე**

## ორი ჩემპიონი

ლენინგრადი. (ჩვენი სპეც. კორ.) აქ დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება სამბოში, რომელშიც მონაწილეობდნენ „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „სპარტაკის“, „ვოდნიკის“, „ავანგარდის“, „შრომითი რეზერვების“, „მეტალურგის“, „დაუგავას“, საბჭოთა არმიისა და სხვ. ნაკრები გუნდები, სულ 8 წონით კატეგორიაში 159 მოჭიდავე გამოდიოდა, მათ შორის 36 სპორტის ოსტატი იყო, ხოლო დანარჩენები პირველთანრიგოსნები.

პირველობა ჩატარდა ახალი წესებით: თუ წინათ სუფთა მოგება ენიჭებოდა მოჭიდავეს, რომელიც მოწინააღმდეგეს ამარცხებდა ორივე ბეჭზე დაწვენით, ან მტკივნეული ილეთის ჩატარებით, ამჯერად მოგება ეთვლებოდა აშკარა უპირატესობისათვისაც. თუ სპორტსმენი ილეთისათვის იღებდა სამ ქულას, ხოლო მისი მოწინააღმდეგე არც ერთს ანდა თუ მოჭიდავე პარტნიორზე 4 ქულით მეტს აგროვებს, მას (ორივე შემთხვევაში) ენიჭება გამარჯვება. შეცვლილია აგრეთვე ქულების ჩათვლის სისტემა. ზოგიერთი ილეთისათვის და პარტერში გადაყვანისათვის იწერებოდა 4 ქულა, ახლა კი ასეთი ხერხი ფასდება ნახევარი ქულით. ახალი წესები მოჭიდავეებისაგან მოითხოვს ტექნიკურად უფრო სრულყოფილი ხერხების ჩატარებას. იგი საგსებით ცვლის ბრძოლის ხასიათს და ხდის მას უფრო აქტიურს.

პირველობაში საქართველოს 40-მდე წარმომადგენელი გამოდიოდა. საინტერესო და ცხარე ბრძოლის შედეგად ბევრმა ჩვენმა მოჭიდავემ გამოიჩინა თავი. ასე მაგალითად, უმჩატეს წონაში კაციაშვილმა მეორე ადგილი დაიკავა. უნდა აღინიშნოს, რომ კაციაშვილი გასული წლის ჩემპიონი იყო. ქვემსუბუქ წონაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თ. ელერდაშვილი გახდა. ნინიაშვილმა მოიპოვა მეორე ადგილი, ხოლო არაბულმა — მესამე.

მსუბუქ წონაში პირველი ადგილი და ჩემპიონის წოდება დაისაკუთრა გაბარაევმა. ამ წონაში სულაშვილი მესამე ადგილზე გამოვიდა. საშუალო წონაში ზ. მუხიაშვილმა დაიკავა მეორე ადგილი. ამავე ადგილზე გამოვიდა ქვემძიმე წონაში თედეევი. დაუშვილს წილად ხვდა მესამე ადგილი. მძიმე წონაში ჩიქვილაძე მეორე ადგილზე იყო.

შეჯიბრებაში მოპოვებული მაღალი წარმატებებისათვის და სათანადო მოთხოვნათა შესრულებისათვის, სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულეს ჩიქვილაძემ, სულაშვილმა, მ. ელერდაშვილმა, მუხიაშვილმა და არაბულმა.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ „ბურევესტნიკის“, მეორეზე — „დინამოს“, ხოლო მესამეზე — საბჭოთა არმიის გუნდები.

**შ. ნოზაძე**

## მასობრივი ტურნირი

მოსკოვში გრძელდება მასობრივი საკავშირო ტურნირი.

III ტურში ყველაზე ადრე დამთავრდა კაკაბაძისა და პაიჭაძის პარტია. მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. მოლდაველმა ნაფტალინმა ყაიმს მიაღწია ბლაგიძესთან. გიორგაძემ მოუგო ე. კასპაროვს (კარელიის ასსრ), ბელორუსიელმა შიფრინმა ყაიმი გააკეთა დემურიასთან.

IV ტურში დემურიამ ეფექტური გამარჯვება მოიპოვა რიბაკთან. ყაიმით დამთავრდა გიორგაძე-ხავსკისა (ლენინგრადი) და პაიჭაძე-ტრიბუშევსკის (რსფსრ) პარტიები. ყაზახეთის წარმომადგენელმა იაკოვლევმა კარგად გამოიყენა რა მოწინააღმდეგის შეცდომა, დაამარცხა ბლაგიძე.

V ტურში პირველი გამარჯვება მოიპოვა ვეტოხინმა. მისი მოწინააღმდეგე იყო მოსკოველი ოსტატობის კანდიდატი გორინი. ყაიმი იქნა ფიქსირებული ბლაგიძისა და მიკოვის (ესტონეთი) შეხვედრაში. ასეთივე შედეგით დასრულდა პაიჭაძე — აბროშინის (რსფსრ) პარტია. გიორგაძე დამარცხდა სარქისიანთან (ერევანი), დემურია — გლინსკისთან. ოციოდე სვლაში კაკაბაძემ ფარ-ხმალი დაჰყარა ოსტატობის კანდიდატ ოსტრაუსკასთან (ლატვია).

VI ტურში კაკაბაძემ კარგი თამაშით ადვილად დაამარცხა რიბაკი. ბლაგიძემ მოუგო სტეპუნოვს (კარელიის ასსრ), დემურიამ წააგო შეხვედრა ოსტატობის კანდიდატ ვალართან (ესტონეთი), ხოლო პაიჭაძემ — ოსტატობის კანდიდატ კოვალენკოსთან (ლენინგრადი). გიორგაძე-კონიუშენკოს (თურქმენეთი) შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

## საკავშირო პირველობის ნახევარფინალი თბილისში

საბჭოთა კავშირის მიმდინარე წლის საჭადრაკო პირველობის ნახევარფინალები ჩატარდება სამ ტურად. გადაწყდა, რომ ერთი ნახევარფინალური შეჯიბრება, რომლის მოწყობა განზრახული იყო სტალინგრადში, ჩატარდეს თბილისში. უნდა აღინიშნოს, რომ საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალი თბილისში დიდი ხანია არ ჩატარებულა.

საკავშირო XXIV ჩემპიონატის თბილისის ნახევარფინალური ჯგუფის შემადგენლობა მეტად ძლიერია. მასში მონაწილეობს 21 მოჭადრაკე. გროსმაისტერები: პეტროსიანი, ფლორი (ორივე მოსკოვიდან), ბონდარევსკი და კორჩნოი (ორივე ლენინგრადიდან). დიდ ინტერესს იწვევს ახალგაზრდა რიგელი ოსტატის ტალის მონაწილეობა, რომელმაც თვალსაჩინო წარმატებით ითამაშა საბჭოთა კავშირის მიმდინარე წლის ჩემპიონატის ფინალში. ფინალში გასვლის პრეტენდენტები იქნებიან საერთაშორისო ოსტატები ფურმანი (ლენინგრადი), სოკოლსკი (მინსკი), ლიპნიცკი (კიევი). მათ გარდა შეჯიბრებაში ითამაშებენ ოსტატები ანტოშინი (მოსკოვი), ზურახოვი (სვერდლოვსკის ოლქი), ზამიხოვსკი (კიევი), ლუტიკოვი (ლენინგრადის ოლქი), კროგიუსი (ლენინგრადის ოლქი), კოტკოვი (მოლოტოვი) და გულდინი (ბაქო), ოსტატობის კანდიდატები: ვორონკოვი (მოსკოვი), გიპსლისი (რიგა), ჩუკაევი (ვილნიუსი) და შერშერი (სტალინაბადი). საქართველოდან ითამაშებენ ოსტატი გურგენიძე და ოსტატობის კანდიდატი ბუსლაევი.

შეჯიბრებაში გამარჯვებული მოჭადრაკეები გავლენ საბჭოთა კავშირის 1957 წლის ჩემპიონატის ფინალში, რომელიც მომავალი წლის დასაწყისში ჩატარდება. თბილისის ნახევარფინალური ტურნირი 15 ნოემბერს დაიწყება.

## უძლიერესთა შეჯიბრება დამთავრდა

დამთავრდა ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირი საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის ჯილდოზე. ქალთა შორის უძლიერესის გამოსავლენებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოველი ფილიპოვას და ახალგაზრდა თბილისელი ჩოგბურთელის ი. რიაზანოვას შეხვედრას. პირველი პარტია მოიგო რიაზანოვამ ანგარიშით 7:5. მეორე პარტია თბილისელმა წააგო — 3:6. რამდენიმე წუთიანი შესვენების შემდეგ გაიმართა მესამე, გადამწყვეტი პარტია, რომელიც მოიგო ფილიპოვამ ანგარიშით —6:4.

ფინალის პირველ დღეს (მეოთხედფინალში) ერთმანეთს შეხვდნენ ურაევსკი და მოსკოველი მირზა. როგორც ცნობილია, წინასწარ შეხვედრებში ბრძოლა მათ შორის ურაევსკიმ მოიგო. თბილისელი თავის მოწინააღმდეგეზე ძლიერი აღმოჩნდა ამჯერადაც და მან მოიპოვა დამსახურებული გამარჯვება. მეოთხედფინალის დანარჩენ შეხვედრებში ანდრეევმა დაამარცხა ოლხოვიკი, ბოიცოვმა — ფრიდლანდი, ანისიმოვმა — მძინარიშვილი. ნახევარფინალში ურაევსკი შეხვდა ანდრეევს და დამარცხდა სამ პარტიაში. ანდრეევის გამარჯვებას ხელი შეუწყო აგრეთვე ურაევსკის სუსტმა თამაშმაც. დანარჩენი შეხვედრების მოგებით ანდრეევმა ტურნირში პირველი ადგილი მოიპოვა. მეორე ადგილი წილად ხვდა ბოიცოვს, მესამე—ანისიმოვს, რომელმაც დაამარცხა ურაევსკი. ეს უკანასკნელი მეოთხე ადგილზე გამოვიდა.

შერეულ წყვილთა შეხვედრებში ფილიპოვა-ანდრეევმა ფინალში დაამარცხეს რიაზანოვა-ვერულავა და დაისაკუთრეს უძლიერესის სახელი. ანდრეევმა ფრიდლანთან ერთად მოიგო წყვილთა შეჯიბრება. ქალთა წყვილების შეხვედრაში უძლიერესი გამოდგნენ ტროშკინა და ლიტოვჩენკო.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ანდრეევს და ფილიპოვას გადაეცათ ჯილდოები.

**ლ. ფალიანი**

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი

## დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავს!

2. ძმური სალამი ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის!

3. ყველა ქვეყნის მშრომელებო! ომი შეიძლება თავიდან ავიცილოთ და კიდევაც უნდა ავიცილოთ თავიდან! უფრო მაღლა ავწიოთ ომის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის და ხალხთა შორის თანამშრომლობისათვის ბრძოლის დროშა!

4. ყველა ქვეყნის მშრომელებო! მიაღწიეთ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებას! მოითხოვეთ ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის აკრძალვა! ატომის ენერგია ჩავაყენოთ კაცობრიობის მშვიდობიანი პროგრესის სამსახურში!

5. დაე მტკიცდებოდეს მშრომელთა ერთიანობა, კომუნისტების, სოციალისტებისა და მთელი პროგრესული ძალების თანამშრომლობა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და ხალხთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

6. საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებო! დაუცხრომლად განამტკიცეთ სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების დიადი თანამეგობრობა, განავითარეთ და განამტკიცეთ ძმური მეგობრობა ჩვენი ქვეყნების ხალხთა შორის!

7. ძმური სალამი დიდ ჩინელ ხალხს, რომელიც წარმატებით აშენებს სოციალიზმს თავის ქვეყანაში!

გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას! დაე აყვავდეს საბჭოთა და ჩინელი ხალხების ურღვევი მეგობრობა და თანამშრომლობა — მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლავრი ფაქტორი!

8. ძმური სალამი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც თავდადებით იბრძვიან სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის აშენებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა და პოლონელი ხალხების ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

9. ძმური სალამი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც თავდადებით იბრძვიან სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის აშენებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიის ხალხების ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

10. ძმური სალამი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც თავდადებით იბრძვიან სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის აშენებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა და უნგრელი ხალხების ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

11. ძმური სალამი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც თავდადებით იბრძვიან სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის აშენებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა და რუმინელი ხალხების ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

12. ძმური სალამი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც თავდადებით იბრძვიან სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის აშენებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა და ბულგარელი ხალხების ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

13. ძმური სალამი ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც თავდადებით იბრძვიან სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის აშენებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა და ალბანელი ხალხების ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

14. ძმური სალამი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც თავდადებით იბრძვიან სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის აშენებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა და მონღოლი ხალხების ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

15. ძმური სალამი იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ხალხებს, რომელიც აშენებს სოციალიზმს! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხების ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

16. ძმური სალამი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირ ხალხს, რომელიც იბრძვის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიულ საწყისებზე თავისი ქვეყნის ეროვნული გაერთიანებისათვის!

17. ძმური სალამი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გმირ ხალხს, რომელიც იბრძვის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიულ საწყისებზე თავისი ქვეყნის ეროვნული გაერთიანებისათვის!

18. გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას — მთელი გერმანიის მშვიდობისმოყვარე ძალების დასაყრდენს, რომლებიც იბრძვიან მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, ორივე გერმანული სახელმწიფოს დაახლოებისათვის, მშვიდობიან, დემოკრატიულ საფუძველზე თავიანთი სამშობლოს გაერთიანებისათვის!

დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს გერმანელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა ევროპაში მშვიდობის საკეთილდღეოდ!

19. ძმური სალამი დიდ ინდოელ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი სამშობლოს პროგრესისათვის, აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის! დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

20. ძმური სალამი ინდონეზიისა და ბირმის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისა და თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის! დაე მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირის ხალხებისა და ინდონეზიისა და ბირმის ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა!

21. მხურვალე სალამი ეგვიპტელ ხალხს, რომელიც მამაცურად იცავს თავისი სამშობლოს სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას!

22. გაუმარჯოს ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას მათს ბრძოლაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის!

23. დაე მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და იტალიის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

24. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის მეგობრობას და თანამშრომლობას, რომელიც ემყარება ხალხთა თანასწორუფლებიანობას, ურთიერთ ნდობასა და პატივისცემას!

25. დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და შვეციის, ნორვეგიის, დანიის, ისლანდიის მეგობრული ურთიერთობა!

26. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხებისა და ნეიტრალური, დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის ხალხის მეგობრობასა და თანამშრომლობას ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისათვის!

27. სალამი იაპონელ ხალხს, რომელიც მამაცურად იბრძვის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, თავისი ქვეყნის მშვიდობიანი, დემოკრატიული და დამოუკიდებელი განვითარებისათვის!

28. მხურვალე სალამი აზიისა და აფრიკის ხალხებს, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური ჩაგვრის ბორკილები და იბრძვიან მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის!

29. სალამი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის!

30. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკას — სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, ყველა ქვეყანასთან ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას!

31. საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებო! ბეჯითად აიმაღლეთ სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა, დაეუფლეთ თანამედროვე საბრძოლო ტექნიკასა და შეიარაღებას, გააძლიერეთ სიფხიზლე და საბრძოლო მზადყოფნა!

გაუმარჯოს გამარჯვებათა დიდებით მოსილ მამაც საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც დგანან ჩვენი სამშობლოს მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე!

32. გაუმარჯოს და განმტკიცდეს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი მუშათა კლასის ხელმძღვანელობით — საბჭოთა წყობილების ურყევი საფუძველი!

33. გაუმარჯოს და აყვავდეს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა—ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყარო!

34. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, დავრაზმოთ მთელი ჩვენი ძალები და შემოქმედებითი ენერგია კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი საქმისათვის!

35. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! პარტიის XX ყრილობის დირექტივები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ კომუნიზმის შემდგომი მშენებლობის, სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საბრძოლო პროგრამაა. გავაძლიეროთ საყოველთაო-სახალხო ბრძოლა მეექვსე ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის!

36. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მივაღწიოთ მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის შესრულებას თვითეული საწარმოს, მშენებლობის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, მტს-ის მიერ!

37. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მტკიცედ განახორციელეთ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს იმას, რომ უპირატესად ვითარდებოდეს მძიმე მრეწველობა — მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების, ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და უშიშროების განმტკიცების საფუძველი!

38. სოციალისტური მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის! დანერგეთ წარმოებაში სამამულო და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, საწარმოთა მოწინავე გამოცდილება!

39. მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, ოსტატებო! გააუმჯობესეთ შრომისა და წარმოების ორგანიზაცია, ყოველი ღონისძიებით განამტკიცეთ შრომის დისციპლინა, უზრუნველყავით საწარმოთა რიტმული მუშაობა! იბრძოლეთ მომჭირნეობის რეჟიმისათვის, გააუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი და შეამცირეთ მისი თვითღირებულება!

40. საბჭოთა მეტალურგებო! სრულყავით წარმოების ტექნიკა და ტექნოლოგია, ყოველი ღონისძიებით გაადიდეთ მადნის ამოღება, მაღალხარისხოვანი ლითონის გამოშვება! დააჩქარეთ სამთამადნო საწარმოებისა და მეტალურგიული ქარხნების აგება! მეტი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ფერადი და იშვიათი ლითონები სახალხო მეურნეობას!

41. ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, დანერგეთ ქვანახშირის ამოღებისა და გამდიდრების მოწინავე მეთოდები, გააუმჯობესეთ ტექნიკის გამოყენება! უფრო სწრაფად აშენეთ ახალი შახტები, ჭრილები, მეშახტეთა სახლები! მეტი ქვანახშირი სახალხო მეურნეობას!

42. ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკებო! უზრუნველყავით ნავთობისა და გაზის ამოღებისა და გადამუშავების ზრდის მაღალი ტემპები! გაადიდეთ ჭაბურღილების ბურღვის სიჩქარე და შეამცირეთ მისი თვითღირებულება! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი მაღალი ხარისხის ნავთობი, გაზი და ნავთობპროდუქტები!

43. საბჭოთა ენერგეტიკოსებო, ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელების მშენებლებო და მემონტაჟეებო! უფრო სწრაფად აამოქმედეთ და აითვისეთ ახალი ენერგეტიკული სიმძლავრეები! გააუმჯობესეთ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი და შეამცირეთ მათი ღირებულება! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი ელექტროენერგია!

(დასასრული მე-3 გვერდზე)

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი

## დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

44. მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის საწარმოთა მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო სწრაფად შექმენით და აითვისეთ ახალ სახეობათა მაღალი წარმადობის მოწყობილობა და ხელსაწყოები! მტკიცედ იბრძოლეთ მოწინავე ტექნიკით სახალხო მეურნეობის აღჭურვისათვის! უფრო ფართოდ დანერგეთ სამუშაო პროცესების კომპლექსური ავტომატიზაცია და მექანიზაცია!

45. მძიმე მანქანათმშენებლობის მუშაკებო! გაადიდეთ თანამედროვე მაღალწარმადობის საგლინავი დგანების, სამთამადნო, საბრძმედე, ფოლადსადნობი და ნავთობის მოწყობილობის გამოშვება! უფრო სწრაფად შექმენით ახალი ძლიერი ორთქლისა და ჰიდრავლიკური ტურბინები და ორთქლის ქვაბები ჩვენი ქვეყნის ელექტროსადგურებისათვის!

46. ელექტროტექნიკური და რადიოტექნიკური მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ უახლეს სახეობათა მოწყობილობის, აპარატურის, ხელსაწყოებისა და მაღალი ხარისხის სხვა ნაკეთობათა წარმოება!

47. ქიმიური მრეწველობის მუშაკებო! უფრო ფართოდ დანერგეთ წარმოებაში ახალი ტექნოლოგიური პროცესები, გააუმჯობესეთ ტექნიკისა და საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენება! გაადიდეთ ქიმიური პროდუქტების წარმოება და გააფართოეთ მათი ასორტიმენტი!

48. საბჭოთა გეოლოგებო! უფრო სწრაფად იძიეთ ჩვენი სამშობლოს სიმდიდრეები, აღმოაჩინეთ რკინის, ქვანახშირის, ნავთობის, გაზის, ფერადი და იშვიათი ლითონების ახალი საბადოები!

49. საბჭოთა მშენებლებო! აამაღლეთ ახალი სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო და კულტურული დაწესებულებების მშენებლობის ტემპები და ხარისხი!

მიაღწიეთ მშენებლობის ვადებისა და ღირებულების შემცირებას!

50. საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ ცემენტის, ასაწყობი რკინაბეტონის ნაკეთობათა და სხვა საშენ მასალათა წარმოება ჩვენი სამშობლოს მშენებლობებისათვის და გააუმჯობესეთ მათი ხარისხი!

51. სატყეო, ხისდამმუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის მუშაკებო! უფრო სწრაფად ზარდეთ საწარმოო სიმძლავრეები! მთლიანად გამოიყენეთ მანქანები და მექანიზმები, გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი მაღალი ხარისხის ხე-ტყის მასალა, ქაღალდი და ავეჯი!

52. მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ საქონლის წარმოება და გააფართოეთ მისი ასორტიმენტი! მივცეთ მოსახლეობას მეტი კარგი ხარისხისა და ლამაზი ქსოვილები, კარგი ტანსაცმელი, მკვიდრი ლამაზი ფეხსაცმელი და სხვა საქონელი!

53. სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშაკებო! ყოველი ღონისძიებით გააფართოეთ კვების პროდუქტების წარმოება და გააუმჯობესეთ მათი ხარისხი! მეტი შაქარი, ცხიმი, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტები მოსახლეობისათვის!

54. თევზის მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ თევზის ჭერა და თევზის პროდუქციის გამოშვება! გააუმჯობესეთ წარმოების ორგანიზაცია! გააუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი და შეამცირეთ მისი თვითღირებულება! მეტი ყურადღება მეთევზეობას და თევზის მარაგის დაცვას!

55. კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ვადამდე შესრულებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის!

მივცეთ მეტი მარცვლეული, ხორცი, რძე, მატყლი და სხვა პროდუქტები მოსახლეობას და ნედლეული მრეწველობას!

56. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! იბრძოლეთ მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლის — მარცვლეული მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის! ავიყვანოთ მარცვლეულის ყოველწლიური საერთო მოსავალი 11 მილიარდ ფუთამდე!

57. დიდება ყამირი მიწების მშრომელებს, რომლებიც წარმატებით ასრულებენ პარტიისა და მთავრობის დავალებებს ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების გადიდების შესახებ!

58. კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! ყოველი ღონისძიებით განავითარეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა და გაადიდეთ პირუტყვის პროდუქტიულობა! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეცხოველეობის მეტი პროდუქტები!

59. კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! აამაღლეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კულტურა, ფართოდ დანერგეთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება!

გავადიდოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის გამოსავალი 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე შრომისა და სახსრების რაც შეიძლება ნაკლები ხარჯვით!

60. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! მიაღწიეთ შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდებას! მტკიცედ იბრძოლეთ ტექნიკის სრული გამოყენებისათვის, სოფლის მეურნეობის ყველა დარგში კომპლექსური მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის დანერგვისათვის!

61. კოლმეურნეებო! მეტი შემოქმედებითი ინიციატივა გამოიჩინეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციასა და არტელის საქმეების მართვაში, განამტკიცეთ შრომის დისციპლინა, გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება! უზრუნველყავით კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველი ღონისძიებით განვითარება!

62. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებო! იბრძოლეთ ტრაქტორების, კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების დროზე და მაღალხარისხოვნად შეკეთებისათვის! ემზადეთ 1957 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატებით შესრულებისათვის!

63. საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! უკეთ გამოიყენეთ მიწის სავარგულები, გაადიდეთ მინდვრების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა! გააუმჯობესეთ წარმოების ორგანიზაცია და ტექნიკის გამოყენება!

გადავაქციოთ ყველა საბჭოთა მეურნეობა სანიმუშო მაღალსაქონლიან რენტაბელურ საწარმოდ!

64. ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის მუშაკებო! გაადიდეთ სახალხო მოხმარების საქონლის, სამეურნეო ინვენტარისა და საშენ მასალების წარმოება! უკეთ გამოიყენეთ ადგილობრივი ნედლეული, გააუმჯობესეთ ნაკეთობათა ხარისხი და შეამცირეთ მათი თვითღირებულება! გააფართოეთ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი და გააუმჯობესეთ მათი მუშაობა!

65. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების მუშაკებო! იბრძოლეთ საბჭოთა მომხმარებლის მომსახურების მაღალი კულტურისათვის! უფრო სრულად დააკმაყოფილეთ მშრომელთა მოთხოვნილებანი!

66. რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებო! უზრუნველყავით შეუფერხებელი ტვირთზიდვა! გააუმჯობესეთ მგზავრთა მომსახურება! უფრო ფართოდ დანერგეთ ელექტრომავლები და თბომავლები, აამაღლეთ მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე ტრანსპორტზე! იბრძოლეთ რკინიგზების მწყობრი მუშაობისათვის ზამთრის პირობებში!

67. საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკებო! გაადიდეთ ტვირთზიდვის მოცულობა, გააუმჯობესეთ მგზავრთა მომსახურება! უფრო გაბედულად დანერგეთ ახალი ტექნიკა და ფლოტისა და ნავსადგურების ექსპლოატაციის მოწინავე მეთოდები! უზრუნველვყოთ ფლოტის სანიმუშოდ მომზადება 1957 წლის ნავიგაციისათვის!

68. საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკებო! გაადიდეთ ტვირთზიდვა! გააუმჯობესეთ მგზავრთა მომსახურება! იბრძოლეთ ავტომობილების ნაყოფიერად გამოყენებისა და ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირებისათვის! სანიმუშო წესრიგში იქონიეთ გზები, გააფართოეთ ახალი გზების მშენებლობა!

69. კავშირგაბმულობის მუშაკებო! დაუცხრომლად განავითარეთ და სრულყავით კავშირგაბმულობის საშუალებანი! მიაღწიეთ ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიოს, ტელევიზიის უნაკლო მუშაობას! გააუმჯობესეთ მოსახლეობის მომსახურება!

70 საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებო! იბრძოლეთ საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მუშაობის ლენინური პრინციპების დაცვისათვის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, გადაჭრით აღმოფხვრით ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება, გულისხმიერად მოეკიდეთ მშრომელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს!

71. სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა მუშაკებო! შემოქმედებითად განავითარეთ საბჭოთა მეცნიერება, გააუმჯობესეთ სპეციალისტთა მომზადება, აამაღლეთ მეცნიერების როლი ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ პროგრესში!

72. საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებო! იბრძოლეთ ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალი იდეურობისათვის, დაუცხრომლად აუმჯობესეთ თქვენი სამხატვრო ოსტატობა! შექმენით ჩვენი დიდი ხალხის შესაფერისი ნაწარმოებნი!

73. სახალხო განათლების მუშაკებო! გააუმჯობესეთ ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის ხარისხი, იბრძოლეთ სკოლის პოლიტექნიზაციისათვის! აღზარდეთ ბავშვები საბჭოთა სამშობლოსადმი სიყვარულისა და ერთგულების, ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით!

მოამზადეთ სოციალისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებული, კულტურული და შრომისმოყვარე მოქალაქენი, კომუნიზმის აქტიური მშენებელნი!

74. მედიცინის მუშაკებო! გააუმჯობესეთ და განავითარეთ ხალხის ჯანმრთელობის დაცვა, აამაღლეთ სამკურნალო და სანიტარულ დაწესებულებათა მუშაობის კულტურა! დანერგეთ პრაქტიკაში მედიცინის მეცნიერებათა მიღწევები!

75. საბჭოთა პროფკავშირებო! უფრო მაღლა ასწიეთ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მეექვსე ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

გაავრცელეთ წარმოების ნოვატორთა გამოცდილება! დაუცხრომლად იზრუნეთ მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის! უფრო ფართოდ გამოიყენეთ მუშათა კრებები, საწარმოო თათბირები, სამეურნეო აქტივები და წარმოების მართვაში მუშათა მონაწილეობის სხვა ფორმები!

გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

76. საბჭოთა ქალებო! იბრძოლეთ ახალი წარმატებებისათვის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში, საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ ბავშვთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეში!

გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს!

77. გაუმარჯოს საკავშირო ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტურ კავშირს — კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს, საბჭოთა ახალგაზრდობის ორგანიზატორს, კომუნისტური პარტიის აქტიურ თანაშემწესა და რეზერვს!

78. ჭაბუკებო და ქალიშვილებო, ჩვენო სახელოვანო საბჭოთა ახალგაზრდობავ! უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღეთ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში! შეისწავლეთ მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, დაეუფლეთ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცოდნას!

იყავით მტკიცენი და გაბედულნი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

79. პიონერებო და მოსწავლეებო! ბეჯითად და გულმოდგინედ დაეუფლეთ ცოდნას! იყავით შრომისმოყვარენი და დისციპლინირებულნი, ეცადეთ მოიპოვეთ წარმატებანი სწავლაში! ემზადეთ გახდეთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აქტიური მშენებლები!

80. კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში! ბეჯითად დაეუფლეთ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას! იბრძოლეთ ტექნიკური პროგრესისათვის სახალხო მეურნეობაში, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის!

81. გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის ციხე-სიმაგრეს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის უძლეველ ბურჯს!

82. გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!

83. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიად შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

84. მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

# ავიამოდელისტები, პარაშუტისტები, პლანერისტები



მანამდე არსებული ავიატექნიკური კლუბი ავიასპორტკლუბად გადააკეთეს და ამოცანაც ახალი დაუსახეს. ახალშექმნილმა ორგანიზაციამ წარმატებით გაართვა თავი მოვალეობას. ექვსითვე თვეში 32 პლანერისტი მოამზადა, რომელთაგან 10 დატოვებულ იქნა სპორტსმენ პლანერისტად.

ნაყოფიერად იმუშავა საპარაშუტო წრემაც. მწვრთნელებმა ვ. ბაქრაძემ, დ. ცოცხალაშვილმა, უ. მანჯავიძემ წელს 114 ახალგაზრდა მოამზადეს თეორიულად. ამ დღეებში ავიასპორტულმა კლუბმა მიიღო აეროსტატი. მალე თბილისელ პარაშუტისტებს საშუალება მიეცემათ თეორიული ცოდნა პრაქტიკით განამტკიცონ, მოაწყონ ხტომები სხვადასხვა სიმაღლიდან.

ახალგაზრდებში განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია ავიამოდელისტთა ჯგუფმა, რომელსაც საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი ინსტრუქტორ-ავიამოდელისტი ნ. თოფაძე ხელმძღვანელობს. გულისხმიერი მიდგომით მან მოკლე ხანში 70 მოდელისტი გამოზარდა. მოსწავლეებმა ზ. ლობჟანიძემ, ვ. ივლიევმა, ვ. ტკაჩოვმა და სხვებმა არაერთხელ ისახელეს თავი შეჯიბრებებზე. ვ. ივლიევმა ავიამოდელისტთა რესპუბლიკურ პირველობაზე მესამე ადგილი მოიპოვა, ხოლო რ. შმატკოვის ძრავიანმა მოდელმა — ჩემპიონობა. ღოსაათვის ავიასპორტკლუბის წევრებმა მოიპოვეს გუნდური პირველობაც, რაც უდავოდ დიდი წარმატება იყო.

წელს ქალაქ ბოგოლუბოვოში ჩატარდა ავიამოდელისტთა საკავშირო პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის ორ-ორი გუნდი და ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ნაკრები კოლექტივები. პროგრამაში იყო პლანერებით, რეზინის ძრავიანი და დგუშიანი მოდელებით შეჯიბრება. პლანერის მოდელებით შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ნ. თოფაძე, ე. პოგორელოვი და ი. მარსალოვი ჩემპიონობა მოიპოვა. პირად პირველობაში წარმატებით გამოვიდა ნ. თოფაძის მოდელი, რომელმაც 900-დან 804 ქულა დაიმსახურა. თოფაძეს მიეკუთვნა მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი. საერთო მოწონება ხვდა მის მიერ დამზადებულ ვერტმფრენის მოდელს.

წარმატებით გამოვიდა ხარკოვში ჩატარებულ საკორდო მოდელების საკავშირო შეჯიბრებაში თბილისელი ვ. ტკაჩოვი. მართალია, მისმა მოდელმა საერთო მეხუთე ადგილი დაიკავა, მაგრამ დაამყარა საქართველოს ახალი რეკორდი (საათში განავითარა 134 კილომეტრი სიჩქარე). ახლა ისიც, ისე როგორც ნ. თოფაძე და ბ. ქუიკოვი, შეყვანილია საბჭოთა კავშირის ნაკრებში.

კლუბმა იმდენად დააინტერესა ახალგაზრდები, რომ ბევრმა აქ მიღებული ცოდნის გასაღრმავებლად საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სამოქალაქო ავიაციის სასწავლებელს მიაშურა. მათ შორის არიან მგალობლიშვილი, მეტრეველი და სხვები, ნაწილმა კი საზოგადოებრივ ინსტრუქტორობას მიჰყო ხელი — თვითონ ხელმძღვანელობენ წრეებს სკოლებში.

შეიძლებოდა მეტის გაკეთებაც, მაგრამ არის ხელშემშლელი მიზეზები: პარაშუტისტების მოსამზადებლად დღემდე არა აქვთ ე. წ. „პრონიჩევის ტრენაჟორი", რომელზედაც ხდება ხტომის ყველა სახის ელემენტის შესწავლა, არა აქვთ „კორდოდრომი" და სხვ.

ამ მდგომარეობას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ ზემდგომმა ორგანოებმა, ავიასპორტკლუბს უნდა შეუქმნან ნაყოფიერი მუშაობის ყველა პირობა, ქალაქში გამოუყონ მიწის ნაკვეთი „პრონიჩევის ტრენაჟორისა" და „კორდოდრომის" მოსაწყობად.

* * *

სურათზე: ნ. თოფაძე ვერტმფრენს ამზადებს საცდელი გაფრენისათვის.

# მწარე გაკვეთილი

„ვაასან პალოსეურა" ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად ითვლება ფინეთში. იგი წარსულში ორჯერ იყო თავისი ქვეყნის ჩემპიონი, ხოლო შარშან მეხუთე ადგილი დაიკავა „ა" კლასში. წელს ქ. ვაასას გუნდი გათამაშების ცხრილში იმავე ადგილზე იმყოფება.

„ვაასან პალოსეურა" საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა და რამდენიმე მატჩი ჩაატარა „ბ" კლასის გუნდებთან. სტუმრებმა ვერ გაუწიეს სათანადო წინააღმდეგობა ჩვენს გუნდებს და 4 შეხვედრაში 4 დამარცხება განიცადეს (ივანოვოში — 0:3, ვორონეჟში — 0:6, როსტოვში — 0:1 და კრასნოდარში — 0:5).

არავის ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, თუ როგორ დამთავრდებოდა მატჩი „ვაასან პალოსეურასა" და თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდს შორის. თბილისელები ყველა იმ გუნდებზე გაცილებით ძლიერნი არიან, ვისთანაც ფინელებმა წააგეს, გარდა ამისა, არმიელებმა თავისი თამაშით დიდი ხანია დაიმსახურეს საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობის მიღების უფლება და მოსალოდნელი იყო, რომ თავის დებიუტს ამ სარბიელზე გუნდი ღირსეულად ჩაატარებდა.

თამაში სწორედ ასეც დაიწყო. ცენტრში გათამაშებული ბურთი მარჯვენა ფრთაზე იქნა გადაწოდებული, სადაც ნორაკიძე საკმაოდ განიერ „დერეფანში" აღმოჩნდა კარის წინ, მაგრამ პირველი შეტევა უშედეგოდ დამთავრდა. ამას მოყვა დალაქიანის, კურტანიძის, მელაშვილის, მენაბდის იერიშები. როგორც ყოველთვის, თავდამსხმელებს აქტიურად შეუერთდა ხუნდაძეც და სტუმრებმა სასწრაფოდ „ისესხეს" თავდამსხმელები დაცვის რიგების შესავსებად, ვინაიდან მოწინააღმდეგის მძლავრ შტურმს ისინი მინდვრის შუაგულში თითქმის ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ. 2-3 თბილისელი თავდამსხმელი სისტემატურად გადიოდა ხელსაყრელ მდგომარეობაში, იოლად წყდებოდა თავის დარაჯს და ურტყამდა კარში. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ურტყამდა კარისკენ და არა კარში. ბურთი ყოველი მიმართულებით სერავდა სივრცეს ძელებს გარეთ და არა მათს შორის. მეკარე ოლილამ შეძლო რამდენიმე სახიფათო მომენტის ლიკვიდირება, მაგრამ ძირითადად იგი სულ ტყუილად ღელავდა — მასპინძლები განსაცვიფრებლად დიდი რაოდენობით კარგავდნენ გოლის გატანის შესაძლებლობებს. ტაიმს შედეგი არ მოუცია.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა კვლავ განაგრძეს შეტევა. თავდამსხმელები კიდევ უფრო გაიშალნენ, რათა თავიდან აეცილებინათ მოთამაშეთა დიდი შეჯგუფება საჯარიმო მოედანზე, ნახევარდაცვაც თითქოს უფრო ზომიერად და გეგმიანად მოქმედებდა მოწინავე პოზიციებზე, მაგრამ ყველაფერი ეს უცვლელად მთავრდებოდა არაზუსტი დარტყმით. ბოლოს, მე-16 წუთზე, კურტანიძის გარღვევა დამთავრდა გოლით.

27-ე წუთზე მსაჯმა ი. გრიგორიევმა (ბაქო) პენალტი დანიშნა სტუმართა კარში, რომელიც ვერ გამოიყენა მელაშვილმა, - სამაგიეროდ 3 წუთის შემდეგ უტრაინენმა შეძლო არმიელთა დაცვის, კერძოდ, თორაძის (№ 3) უხეში შეცდომის გამოყენება. თორაძეს საერთოდ წესად აქვს, როცა თავდასხმას ვერ გააქვს ბურთი, ტოვებს თავის ადგილს და გადის წინ. ასე მოიქცა იგი ამჯერადაც და სანამ დაცვის ცენტრს დაუბრუნდებოდა, უტრაინენმა მიიღო ვენტიარის (№ 8) გადაცემა და დაბალი ბურთი გაგზავნა კარში — 1:1. რამდენიმე წუთის შემდეგ ფინელებმა მეორე ბურთიც გაიტანეს. 2:1 სტუმრების სასარგებლოდ. ასე დამთავრდა ეს მატჩი.

ეს მწარე გაკვეთილია. თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა ბოლოსდაბოლოს უნდა ისწავლოს თავისი დიდი ტექნიკურ-ტაქტიკური უპირატესობის გამოყენება. ყოვლად შეუწყნარებელია ის გარემოება, რომ ისეთი კლასის გუნდი, როგორიც თბილისის არმიელთა კოლექტივია, კარგავდეს ქულებს პირველობაზე ან აგებდეს პირველ საერთაშორისო მატჩს მხოლოდ იმის გამო, რომ თავდამსხმელები 8-10 მეტრის მანძილიდან ნაღდ ბურთებს ცაში ტყორცნიან.

თავიანთ პირველ საერთაშორისო მატჩს არმიელები ასე ზერელედ არ უნდა მოჰკიდებოდნენ.

**რ. ქორიძე**

# კიეველ მეგობრებთან

ამას წინათ კიევს ეწვია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპორტული დელეგაცია, რომელიც ფრენბურთში, ჩოგბურთში, ჭადრაკში, სროლასა და მაგიდის ჩოგბურთში შეეჯიბრა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის სპორტსმენებს.

შეჯიბრების გახსნასთან დაკავშირებით გამართულ საღამოზე ნაკრები გუნდების ხელმძღვანელებმა ერთმანეთს გადასცეს სამახსოვრო ვიმპელები. შემდეგ ქალაქის სპორტულ ბაზებზე დაიწყო ასპარეზობა მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში. მაგიდის ჩოგბურთის გუნდი შედგებოდა 5 სპორტსმენისაგან (3 კაცი, 2 ქალი). ამ სახეობაში ასპარეზობა მასპინძლებმა ძლიერად ჩაატარეს და დიდი ანგარიშით (14:3) მოიპოვეს გამარჯვება. ჭადრაკში (ანგარიშით 5,5:4,5) გამარჯვება დარჩათ სტუმრებს.

მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში გამარჯვება წილად ხვდათ უკრაინელ სპორტსმენებს. სამაგიეროდ ჩვენმა ჩოგბურთელებმა მაღალ დონეზე ჩაატარეს შეხვედრები და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1. ოთხი სახეობის შემდეგ გუნდების მდგომარეობა თანაბარი იყო — 2:2. გამარჯვებული გუნდი ფრენბურთელთა შეჯიბრებას უნდა გამოევლინებინა. სპორტის ეს სახეობა მშრალი ანგარიშით მოიგეს უკრაინელებმა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საქართველოს დელეგაციამ დაათვალიერა კიევის სატელევიზიო ცენტრი. დათვალიერების შემდეგ მოხდა დელეგაციების წევრების გადაღება უკანასკნელი ცნობების სატელევიზიო გამოშვებისათვის.

**უ. ჭანჭალეიშვილი**

---

# დ. გ. ჩიკოიძე

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი დავით გიორგის-ძე ჩიკოიძე.

დ. გ. ჩიკოიძე დაიბადა 1916 წელს. 1933-1941 წლების განმავლობაში იგი მუშაობდა თბილისში ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზე, დიდი სიყვარულითა და მონდომებით ემსახურებოდა ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეს. სამამულო ომის დაწყებისთანავე იგი საბჭოთა არმიის რიგებშია, მონაწილეობს ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ დ. გ. ჩიკოიძე ბრუნდება თბილისში. 1946 წლიდან უკანასკნელ დრომდე იგი მუშაობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში მუშაობის 10 წლის მანძილზე დ. გ. ჩიკოიძემ საგრძნობი წვლილი შეიტანა რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის აღმავლობაში. იგი იყო ენერგიული და დაუზარელი მუშაკი, გულისხმიერი ამხანაგი.

დ. გ. ჩიკოიძის ხსოვნა დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

**ამხანაგების ჯგუფი**

# გუნდები მიემგზავრებიან მელბურნში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიურ თამაშებში მონაწი... ლე ქვეყნებმა უკვე საბოლოო... დაადგინეს თავიანთი ეროვნული... გუნდების შემადგენლობა. დელე... გაციების ნაწილი ეხლა უმრა მელ... ბურნს, ნაწილი გზაშია, ხოლო და... ნარჩენები ამ მოკლე ხანში აიღე... ბენ კურსს ავსტრალიისაკენ. ქვე... მოთ მოგვყავს ცნობები იმის შესა... ხებ თუ რამდენი სპორტსმენი გა... მოყავს ქვეყნებს ოლიმპიურ თამა... შებზე და სპორტის რომელ სახეო... ბებში მონაწილეობენ ისინი.

◇

## ჩეხოსლოვაკია

დამტკიცდა ნაციონალური გუნ... შემადგენლობა. მელბურნში გაემგ... ვრება 91 კაცი. 13 მძლეოსანს შ... რის არიან ოლიმპიური ჩემპიონ... ემილ ზატოპეკი და დანა ზატოპ... ვა, ევროპის რეკორდსმენი ი... სკობლა, მსოფლიოში ცნობილი მ... ბენალი სტანისლავ იუნგვირტი... სხვ. ჩეხოსლოვაკია თამაშებზე აგ... ვნის ტანმოვარჯიშე ქალთა და ... თა გუნდებს, ორ მოცურავეს, ... მსროლელს, ერთ ხუთჭიდელს. ... გარდა ჩეხი სპორტსმენები გამოვ... ველოსიპედისტთა, ნიჩბოსანთა, ... კრივეთა და ძალოსანთა შეჯიბ... ბებში.

## აშშ

ამერიკის შეერთებული შტატ... დელეგაცია შედგება 326 სპორტ... ნისაგან და 48 ხელმძღვანელისა... სპორტსმენთა მომსახურების მიზ... მელბურნში მიდის 18 მასაჟის... ორი ექიმი და ორი ექთანი. დელე... ციის შემადგენლობაში შეყვანი... აგრეთვე 60 ჟურნალისტი.

აშშ-ს სპორტსმენთა დელეგ... ავსტრალიაში ლოს-ანჯელოსიდან ... ემგზავრება. დელეგაცია მელბუ... ეწვევა 7 თვითმფრინავით. ... როგორც ჩრდილოეთის ქვეყნ... გუნდები, ამერიკელები დასვენ... მიზნით ჰონოლულუში 36 სა... დაჰყოფენ.

როგორც საზღვარგარეთის პ... იუწყება, შეერთებული შტატ... წარმომადგენლები მონაწილე... მიიღებენ ოლიმპიური თამაშ... პროგრამის ყველა სახეობაში.

## ბულგარეთი

ბულგარეთის ოლიმპიურმა კ... ტეტმა გადაწყვიტა გაგზავნოს ... მაშებზე 35 სპორტსმენისაგან შ... გარი გუნდი. დელეგაციაში არ ... ბიან ფეხბურთელები, რადგან ... უარი განაცხადეს შეჯიბრებაში ... ნაწილეობაზე.

ბულგარელები მონაწილეობას ... ღებენ თავისუფალ და კლასი... ჭიდაობაში, ტანვარჯიშში (ვა... და ქალები), ძალოსნობაში, კრ... და მძლეოსნობაში.

---

## ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 28 ოქტომბრისათ...

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 21 | 14 | 4 | 3 | 65:2[illegible] |
| „დინამო" მ. | 22 | 10 | 8 | 4 | 45:31 |
| ცდსა | 21 | 10 | 5 | 6 | 40:2[illegible] |
| „დინამო" კ. | 22 | 7 | 10 | 5 | 32:31 |
| „ტორპედო" | 22 | 8 | 7 | 7 | 40:3[illegible] |
| „ბურევ". | 22 | 9 | 5 | 8 | 38:4[illegible] |
| „შახტიორი" | 22 | 7 | 7 | 8 | 30:3[illegible] |
| „დინამო" თბ. | 22 | 8 | 4 | 10 | 42:4[illegible] |
| „ზენიტი" | 22 | 4 | 11 | 7 | 27:4[illegible] |
| „ლოკომოტივი" | 22 | 5 | 8 | 9 | 38:2[illegible] |
| ოფ. სახლი სვ. | 22 | 6 | 4 | 12 | 31:4[illegible] |
| „შრ. რეზერვ". | 22 | 3 | 7 | 12 | 25:4[illegible] |

* * *

გუშინ ერთმანეთს შეხვდნენ ... კოვის გუნდები „დინამო" და „... კომოტივი". გამარჯვება რკინ... ლებმა — 7:1.


რედაქტორი ი. უზულავ...

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი. ლენინის ქ. № 14.

უე 0715...